



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ინფორმაციის თვის პროგნოზი

2026

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	10
ფულადი ბაზარი	13
მონეტარული აგრეგატები	14


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ შენელება განარგძო და 4.0% შეადგინა, ხოლო ნოემბერთან შედარებით ფასები 0.2%-ით შემცირდა. 2025 წლის მეორე ნახევრიდან სამიზნე 3%-იან მაჩვენებელთან შედარებით მაღალი ინფლაცია სურსათით არის გამოწვეული, რაც თავის მხრივ დიდწილად საბაზო ეფექტსა და ეგზოგენურ ფაქტორებს უკავშირდება. საბაზო ეფექტის მიღწევასთან ერთად, როგორც მოსალოდნელი იყო, სურსათის და უალკოჰოლო სასმელების ინფლაციის წვლილმა თანდათან შემცირება დაიწყო და დეკემბერში 3.0 პპ-ს გაუცოლდა. გასული წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო ნედლეულზე ფასების მატება, ადგილობრივ ფაქტორებთან ერთად, სურსათის ინფლაციას დამატებით ზრდიდა. თუმცა საერთაშორისო ბაზარზე¹ ბოლო თვეებში სურსათის ფასების ინდექსი თვიურ წრეში მცირდება.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, 2025 წელს სტაბილური იყო. დეკემბერში საბაზო ინფლაციამ 1.6% შეადგინა. საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შედარებით გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის შესაფასებლად.

თვის ინფლაცია -0.2 % (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 4.0% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტადი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

დეკემბერში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში აღსანიშნავი ძროხის ხორცის და ყველის გაძვირება იყო, რამაც თვის ინფლაციაში 0.15 პპ წვლილი შეიტანა. ამის საპირისპიროდ, შოკოლადის გაიაფებამ თვის ინფლაცია 0.10 პპ-ით შეამცირა.

წლიურ წრეში, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად ჯერ ისევ სურსათის გაძვირება მოქმედებს, თუმცა მისი წვლილი თანდათან მცირდება. დეკემბერში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ინფლაციამ 8.8%, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 3.0 პპ შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი გავლენა პურს აქვს (0.9 პპ). ძროხის ხორცის, იმერული ყველის, ზეთის და კარტოფილის გავლენა ინფლაციაზე სათითაოდ 0.3 პპ-ს შეადგენდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის 7.0%-იანი ინფლაცია, რამაც ინფლაცია 0.6 პპ-ით გაზარდა.


ინფლაციის შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად ინტერნეტის გადასახადი მოქმედებდა² (-0.12 პპ). ამავდროულად, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარკვეული პროდუქტების ფასების წლიური შემცირება მთლიან ინფლაციას ამცირებს.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტადი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტადი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 6.2% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის ზრდას დიდწილად პურის, ძროხის ხორცის და ყველის ფასების ზრდა განაპირობებს (ჯამში 3.3 პპ-ით). მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მიზნობრივზე დაბალ დონეზე ნარჩუნდება და დეკემბერში 2.5%-ს გაუცოლდა.

¹ საერთაშორისო სურსათის ფასების მონაცემები <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>

² ამ შემთხვევაში ინტერნეტის გაიაფება ხარისხის გაუმჯობესებას გულისხმობს.

შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია 4.1% იყო. ამ კატეგორიაში ყველაზე დიდი წვლილი ზეთზე, კარცოფილსა და შოკოლადზე (ჯამში 2.4 პპ) მოდიოდა. იმპორტირებული პროდუქტების ფასების წლიურმა ცვლილებამ -0.2% შეადგინა. ყველაზე მეტად იმპორტირებული პროდუქტების დეფლაციას საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაიაფება განაპირობებს.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	დეკ25/ნოვ25		დეკ25/დეკ24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.2%	-0.2%	4.0%	4.0%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	0.0%	0.0%	8.8%	3.0%
სურსათი	31.7%	0.1%	0.0%	8.9%	2.8%
პური და პურპროდუქტები	6.9%	0.5%	0.0%	14.3%	1.0%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	1.7%	0.1%	7.6%	0.5%
თევზი	0.5%	3.1%	0.0%	18.4%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	1.0%	0.1%	7.0%	0.4%
ზეთი და ცხიმი	2.9%	-1.3%	0.0%	10.1%	0.3%
ხილი, ყურძენი	1.7%	-2.7%	-0.1%	15.0%	0.3%
ბოსტნეული, ბალახეული, კარცოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	0.3%	0.0%	0.1%	0.0%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	-3.2%	-0.1%	8.2%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.4%	0.0%	2.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	-2.1%	-0.1%	7.4%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.4%	0.0%	4.4%	0.3%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.7%	-1.9%	-0.1%	0.0%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	-0.4%	0.0%	-0.3%	0.0%
ავიჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	0.4%	0.0%	-1.6%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	0.5%	0.0%	7.0%	0.6%
ტრანსპორტი	10.9%	-0.3%	0.0%	-0.6%	-0.1%
კავშირგაბმულობა	3.2%	-0.5%	0.0%	-4.7%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	-0.5%	0.0%	-1.6%	-0.1%
განათლება	5.4%	0.0%	0.0%	2.1%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.1%	0.0%	6.9%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	-0.4%	0.0%	5.1%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	60.8%	0.1%	0.0%	5.9%	3.6%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	8.1%	-1.4%	-0.1%	-1.4%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.2%	-2.1%	-0.1%	-2.7%	-0.1%
მომსახურება	25.9%	0.2%	0.0%	2.5%	0.6%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


ნოემბერში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 7.7 მლრდ ლარით, 13.4%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით - 13.9%-ით) და 65.7 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრილში კი 0.1 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.6 მლრდ ლარით (1.9%-ით) გაიზარდა და 34.2 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, მეცნილად ვადიანი დეპოზიტების ზრდის ასახვაა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, ამ შემთხვევაში კი, წინა თვესთან შედარებით, 0.5 მლრდ ლარის კლება (1.6%-ით) დააფიქსირა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ნოემბერში მთლიანი დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 5.8%-ს გაუცოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი თითქმის უცვლელად, 7.4%-ზე, შენარჩუნდა. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 1.7%-მდე, შემცირდა. რეზიდენტების ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, 0.2 პპ-ით და 10.5% შეადგინა. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.6 პპ-ით, 2.0%-მდე, გაიზარდა. რეზიდენტების დოლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები უცვლელია და 2.6%-ის ნიშნულზეა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპაღი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპაღი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაცია ნოემბერში 0.7 პპ-ით შემცირდა და 47.9% შეადგინა. ნოემბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.4 პპ-ით, 63.0%-მდე, შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია 1.1 პპ-ით შემცირდა და 38.6% შეადგინა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით, 58.0%-მდე, შემცირდა.

**დეპოზიტების დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გათვალისწინებით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დეპოზიტების დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გათვალისწინებით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ნოემბერში გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებით, სესხების ზრდის ტემპმა წინა თვესთან შედარებით 1.0 პპ-ით მოიმატა და წლიურმა მაჩვენებელმა 13.8% შეადგინა. აღნიშნული, ძირითადად, უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის მატებამ განაპირობა. კერძოდ, უცხოური ვალუტის სესხების ზრდის ტემპი 2.4 პპ-ით, 11.1%-მდე, გაიზარდა, ხოლო ეროვნული ვალუტით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი წინა თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით არ შეცვლილა და 15.8% შეადგინა. მთლიანი სესხების ზრდაში 9.0 პპ-იანი წვლილი ლარის, ხოლო 4.7 პპ უცხოური ვალუტის დაკრედიტებამ შეიტანა. მიზნობრიობის ქრილში, დაკრედიტების ზრდის ტემპის ზრდა, დიდწილად, ბიზნეს სესხებს უკავშირდება, რომლის წვლილმაც მთლიანი სესხების ზრდაში წინა თვესთან შედარებით 1.0 პპ-ით, 6.5 პპ-მდე, მოიმატა.

**სასხავის წლიური ზრდის ტემპი
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გათვალისწინებით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სასხავი მიზნობრიობის მიხედვით
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გათვალისწინებით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2025 წლის ნოემბერში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით შემცირდა და 13.3% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 9.1%-ზე შენარჩუნდა, ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით, 15.2%-მდე, შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სასხავზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხავზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.8 პპ-ით შემცირდა და 12.5% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 12.3%-მდე, შემცირდა. წინა თვის მსგავსად, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 9.4%-ზე შენარჩუნდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში 0.2 პპ-ით, 7.7%-მდე, შემცირდა.

მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია უცვლელია და 41.8%-ის დონეზეა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვის მსგავსად 63.5%-ზე შენარჩუნდა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია კი 0.1 პპ-ით შემცირდა და 22.9% შეადგინა. ნოემბერში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 304.6 მლნ ლარით გაიზარდა და 932.1 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 65.8% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საბარეო სექტორი

ნოემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 27.6%-ით გაუმჯობესდა და 675.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 1.2%-ით, 5 მლრდ აშშ დოლარამდე, შემცირდა. ხოლო ექსპორტი 44.2%-ით გაიზარდა და 782.3 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის კონტრიბუციამ ნოემბერში 21.4 პპ შეადგინა.

იანვარ-ნოემბერში იმპორტი ერთჯერადი ფაქტორების³ გამორიცხვით, წლიურად 5.9%-ით გაიზარდა, ხოლო ადგილობრივი მოხმარების იმპორტი კი 4.4%-ით. იმავე პერიოდში, მთლიანი ექსპორტის ზრდამ 10.1%, ხოლო ადგილობრივი ექსპორტის ზრდამ 8.7% შეადგინა. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს (ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით), ამავე პერიოდში 3.1%-ით გაუარესდა.



წყარო: საქსტატი




წყარო: საქსტატი

იმპორტი - ნოემბერში საქონლის იმპორტი წლიურ წრილში 1.2%-ით შემცირდა. შემცირების მიმართულებით ძირითადად შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი მოქმედებდა, -1.4 პპ წვლილით. სამომხმარებლო საქონლის წვლილი კლებაში -0.4 პპ-ს შეადგენს. ხოლო საინვესტიციო საქონლის კონტრიბუციამ პოზიტიური 0.5 პპ შეადგინა.

სამომხმარებლო საქონლიდან იმპორტის კლებაში წამყვანი წვლილი მსუბუქ ავტომობილებს ჰქონდა (-3.5 პპ კონტრიბუციით), ხოლო ნავთობპროდუქტებისა და ხორბლის იმპორტზე დანახარჯები გაიზარდა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის ზრდაში წამყვანი ელექტროგენერატორები იყო. შუალედური საქონლის კლება კი სხვადასხვა ციპის საქონლის შემცირებით აიხსნება.


³ იანვარში შემოდანილი ხელოვნების ნიმუშების გამორიცხვით

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის წრილში, ნოემბრის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნების წვლილმა დადებითი 1.1 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრილში კი ზრდას ძირითადად ნავთობპროდუქტებისა და მსუბუქი ავტომობილების იმპორტი განაპირობებდა. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 18.1%-დან 25.6%-მდე გაიზარდა.

ქვეყნებს შორის იმპორტი მეტწილად მცირდებოდა თურქეთიდან და აშშ-დან, ხოლო ზრდის მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი ჩინეთსა და რუსეთს ჰქონდა.

თურქეთიდან იმპორტის შემცირება ერთგვარად ფაქტორებს უკავშირდება, ხოლო არმაჯურისა და ნავთობპროდუქტების იმპორტზე დანახარჯები გაზრდილია.


აშშ-დან შემცირებულია მსუბუქი ავტომობილების იმპორტი.

ჩინეთიდან იმპორტი გაზრდილია ძირითადად საინვესტიციო პროდუქციის ხარჯზე. ასევე, გაზრდილია რუსეთიდან იმპორტზე დანახარჯები, ძირითადად ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ხარჯზე, ხოლო არმაჯურის იმპორტი შემცირებულია.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 77.8% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, ნოემბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და სამკერძო საშუალებების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდათ (-3.5 პპ).

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (ნოემბერი 2025)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)




წყარო: საქსტატი

ექსპორტი - ნოემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 44.2%-ით გაიზარდა და 782.3 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. ექსპორტის ზრდა განპირობებული იყო სამომხმარებლო საქონლის (33.0 პპ კონტრიბუციით) ექსპორტის ზრდით. ასევე გაზრდილია შუალედური მოხმარების საქონელი (11.9 პპ კონტრიბუციით). ხოლო საინვესტიციო საქონლის ექსპორტი შემცირებულია (-0.7 პპ კონტრიბუციით).


სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი პოზიციური წვლილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა შეიძინა. ასევე გაზრდილია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის - თხილის ექსპორტი.

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მადნების, ფეროშენადნობებისა და მინერალური სასუქების ექსპორტი.

საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება დაკავშირებულია სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის კლებასთან.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნების ჯგუფის შრილში, ნოემბრის ექსპორტის წლიურ ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლების პოზიციურმა წვლილმა 11.7 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ძვირფასი ლითონების მადნების, ნავთობპროდუქტებისა და თხილის ექსპორტის ზრდას უკავშირდება. საპირისპიროდ, შემცირებულია სპილენძის მადნების ექსპორტი.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საექსპორტო შემოსავლები ძირითადად ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან გაიზარდა, 21.8 პპ წვლილით ზრდაში, რაც ძირითადად, მსუბუქი ავტომობილების რექსპორტით იყო გამოწვეული. ასევე გაზრდილია ექსპორტი ბულგარეთსა და აშშ-ში.

აშშ-ში გაზრდილი ექსპორტი ძირითადად ფეროშენადნობებს უკავშირდება.


ნოემბრის საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (42.8%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებიდან გაზრდილია ძვირფასი ლითონების მადნების, ფეროშენადნობების, თხილის და მინერალური სასუქების ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.

წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - ნოემბერში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 11.9%-ით, 298.4 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა კი 10.3%-ით, 36.8 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (6.3 პპ) შეიძინა წლიური 14.2%-იანი ზრდით. 15.5%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 2.9 პპ). რუსეთის დადებითი კონტრიბუცია კი ნოემბერში 3.3 პპ-ს გაუცოლდა.


ნოემბერში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.5%), აშშ (19.4%) და რუსეთი (12.9%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (16.9%), გერმანიის (9.2%) და საბერძნეთის (8.3%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (ნოემბერი 2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპალუტო ბაზარი


ნოემბერში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7160-დან 2.7076-მდე (0.3%-ით), ხოლო ევროს მიმართ 3.1640-დან 3.1297-მდე (1.1%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7029 და 3.1248 შეადგინა. ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7127 იყო, მინიმალური კი - 2.7029.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები თანაბრად იყო გადახრილი.


ნოემბერში საშუალოდ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნადაა გაუფასურებული თურქული ლირა და ევრო. როგორც თვის, ისე წლის ქრილში გამყარებულია რუსული რუბლი. მცირე გამყარებით ხასიათდებოდა ლარი და სომხური დრამი, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების⁴ თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (ნოემბერი 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი⁵ (REER) წლიურად 4.1%-ით გაუფასურდა, თვის ქრილში კი 0.8%-ით გამყარდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), ნოემბერში წლიურად 0.9%-ით გაუფასურდა, თვის ქრილში კი 0.5%-ით გამყარდა.

ზოგადად, ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.


სავაჭრო პარტნიორთაგან ნოემბერში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, ბელარუსში, რუსეთსა და აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.

⁴ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>


⁵ წინასწარი მონაცემები, აშშ სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოქვეყნების დაგვიანების გამო (nb. <https://www.bls.gov/bls/2025-lapse-revised-release-dates.htm>).

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპატრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (ნოემბერი 2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ნოემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 15 კომერციული ბანკი, 1 მიკრობანკი და 6⁶ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირდა და დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპატრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია როგორც თვეურად, ასევე წლიურად. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 392.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 118.0 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის ნოემბერთან შედარებით კი - 161.8 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 1.2%-ით შემცირდა, წლიურად კი 12.2%-ით გაიზარდა.


ნოემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ⁷ გარიგებებით ხდებოდა (99.4%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,350.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 83.3 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 311.8 მლნ აშშ დოლარით შემცირებული. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 9.2% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 308.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

⁶ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
⁷ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება, წლიურად გაზრდილია, ხოლო თვიურად შემცირებული.

საერთო ჯამში, ნოემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 72.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრიულში 108.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,774.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 10.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრიულში 203.0 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,575.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ისე გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე მოდიოდა.


სავალუტო ფორვარდ⁸ გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 76.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვის წრიულში - 38.8 მლნ აშშ დოლარით) და 18.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე, ხოლო მცირე შინამეურნეოებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 8.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორის საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბრის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 213.2 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 5.8 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები, მონეტარული ოქროს გადაფასება და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.


⁸ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მენეჯერებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ნოემბერში სადებოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიტო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 245.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ნოემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 50, 65 და 90 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა, დაფარვების გათვალისწინებით. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 167.7 მლნ ლარით გაიზარდა და 11,159.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 72.1%-ს კომერციული ბანკების, 11.4%-ს ეროვნული ბანკის, 14.8%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.8%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში სადებოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. ასევე, გაიზარდა სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები (6 თვიანი და 1 წლიანი), ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები მეტწილად უცვლელად შენარჩუნდა. კერძოდ, ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 8.1%-მდე, გაიზარდა. ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.5 და 0.3 პპ-ით გაიზარდა და შესაბამისად 7.9% და 8.0% შეადგინა. 3 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები უცვლელად 9.0%, 9.4% და 9.8%-ზე შენარჩუნდა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვის წრილში 9,548.1 მლნ ლარით (წლიურად 2,329.0 მლნ ლარით) 15,883.9 მლნ ლარამდე შემცირდა, რაც მეცნილად უცხოური ვალუტის რესურსის შემცირებით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (77.9%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 7,511.3 მლნ ლარით (37.8%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 2,036.9 მლნ ლარით (36.7%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში არ შეცვლილა და 7.6% შეადგინა. უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი კი 0.2 პპ-ით, 1.6%-მდე, შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ნოემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 28.7% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 70.3% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგატები

ნოემბერში წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 68.2 მლნ ლარით (0.8%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8.2 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 12.2 მლნ ლარით (0.1%-ით) გაიზარდა.

სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 308.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 96.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 211.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 102.2 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 1,078.0 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნოემბერში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 101.7 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხების მოცულობამ, წინა თვესთან შედარებით, 380.0 მლნ ლარით მოიკლო. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 0.3 მლნ ლარით შემცირდა. ნოემბერში დაიფარა 20.0 მლნ ლარის ფასიანი ქაღალდი და განთავსდა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, ნოემბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 380.3 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 5,060.0 მლნ ლარს გაუცოლდა.


ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვიურად 0.1 მლრდ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 0.4 მლრდ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოწოდებული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

